2-15891/21
13-12-2021

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრების ირაკლი ქადაგიშვილისა და გურამ მაჭარაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/121; 17.11.2021).

აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიებთან დაკავშირებით რეფორმის განსახორციელებლად შესაბამისი წინადადებების მომზადებისა და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან იქმნება უწყებათაშორისი კომისია. კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იმ მიზნით რომ დროულად მოხდეს უწყებათაშორისი კომისიის შექმნა და დაკომპლექტება, მიზანშეწონილია წარმოდგენილი კანონპროექტი განხილული და მიღებული იქნეს დაჩქარებული წესით.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ თხოვნით მიიღოთ გადაწყვეტილება აღნიშნული კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ირაკლი ქადაგიშვილი

პარლამენტის წევრი
გურამ მაჭარაშვილი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge